წელიწადი 1-ლი  გაზ. ფასი 3 შაური.  ტელეფონი № 76.  ხუთშაბათი ოქტომბრის 26—(8) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი [illegible]
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება [illegible]
სამგლოვიარო განცხადება [illegible]
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 159  ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  № 159

დამწუხრებული შვილი ალექსანდრე ბესარიონის ძე მხეიძე და რძალი ვერა ივანეს ასული მხეიძისა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ქ. ახალ-სენაკის საკრებულო ტაძარში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**თავად ბესარიონ გრიგოლის ძის**

**მ ხ ე ი ძ ი ს**

სულის მოსახსენებლათ.

# არ დაივიწყოთ

გამოძიება, შეტანილი ხართ თუ არა დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში. თუ ეს ამ თვის 27-დის არ გამოიძიეთ თქენ ხმას დაჰკარგავთ და არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებთ. ამით დამფუძნებელ კრებაზე თქვენი ხმით გავლენას ვეღარ მოახდენთ. სიების შესწორება 27 თავდება.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

# ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

# ძმ. ურუშაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეარის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

# ქუთაისის მოქალაქეთა საყურადღებოთ.

**დამფუძნებელი კრების ქუთაისის საქალაქო საარჩევნო კომისია**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ: დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიების გამოსაქვეყნებელ უკანასკნელ ვადათ დანიშნულია მდგომარე 1917 წლის ოქტომბრის 20 რიცხვი; 21 ოქტომბრიდან 27-მდი საარჩევნო კომისია იღებს განცხადებებს სიებში აღმოჩენილ შეცდომების თუ გამოტოვების შესახებ; 28 ოქტომბრიდან 30-მდი კომისია არჩევს შემოსულ საჩივრებს; 31 ოქტომბრიდან 3-ნოემბრამდი მოქალაქეთ უფლება ეძლევათ პროტესტი განაცხადონ ან განასაჩივრონ კომისიის დადგენილებანი ოლქის სასამართლოში; 4 ნოემბრიდან 6-ადი ოლქის სასამართლო არჩევს შესულ საჩივრებს და 7 ნოემბრიდან 11-მდი ამომრჩევლებს შეუძლიათ კვლავ გადაათვალიერონ საარჩევნო სიები.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.**
იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერავების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 სათ. საღამოს 7—9 ს. ბუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ე ქ ი მ ი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## გიმნაზიების გამრავლება

წელს ჩვენში არა ჩვეულებივათ მრავლდება საგიმნაზიო სასწავლებლები. გიმნაზია ზესტაფონში, გიმნაზიები ქუთაისში და პროგიმნაზიები სოფლებში. კულტურული მისწრაფება ერისა, ხალხის მიერ სწავლა განათლების სურვილის გამომჟღავნება სასიხარულოა მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს მეორე დიდ მნიშვნელოვან მხარეს. საქართველო სამეურნეო მიწად მოქმედების ქვეყანაა ჩვენ გვჭირია ისეთი სკოლები, რომლებიც ქართულ ცხოვრების შესაფერ სპეციალ ცოდნას გაავრცელებდა.

წარსულში რა მოგვცა გიმნაზიებმა? ბევრი დიპლომიანი, რომელთაც საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზი ვერ მოიპოვეს.

გიმნაზიებში და სხვა ძველი რეჟიმის სასწავლებლებში აღზრდილი ჩვენი თანამემამულენი ქართულ ცხოვრებას უცხო ელემენტათ ევლინებოდენ. რამდენად გიმნაზიებმა გამარუსებელ პოლიტიკას, ქართველ ხალხის გადაგვარებას შეუწყო ხელი, ამას მტკიცება აღარ სჭირია.

დღეს, გვეტყვიან, რომ ამიერიდინ გიმნაზიები ეროვნულათ მოეწყობა, წინანდელ პოლიტიკანობას ადგილი არ ექნება...

დაგეთანხმებით, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ საქმე მარტო სკოლის ეროვნულ ნიადაგზე მოწყობაში როდი არის, როგორც ზემოთ ვსთქვით ამჟამათ ქართველი ხალხი საჭიროებს ისეთ სახის სკოლებს, რომლებიც ხალხის ჭირ ვარამს პირდაპირ სამსახურს გაუწევს და მის ტკივილებს მალამოს დასდებდეს.

საქართველოში უკვე არსებული გიმნაზიები, რომ გაეროვნულდეს სრულიად საკმარისი იქნება. მაგრამ დღეიდან, როდესაც ჩვენი თავის პატრონი ჩვენვე უნდა გავხდეთ, და დღემდის ჩვენი ეკონომიური ცხოვრება სხვის ხელში იყო დღეიდან ჩვენს ხელთგადმოვა, ჩვენ უნდა შევსძლოთ მისი ხელმძღვანელობა-გაძღოლა. მეურნეობა მოითხოვს გაუმჯობესებას, გაახლებას, რისთვისაც მიუცილებელია სპეციალი ცოდნა. ჩვენს ქვეყანაში გამოსაყენებელია წყლის ენერგია, რაც მოითხოვს ელექტრონის სადგურების მოწყობს, ამისთვის კი საჭიროა გიდრო ტეხნიკურ სასწავლებლის გახსნა; მრეწველობის განვითარებისთვის გვინდა ტეხნიკური სკოლები. ეს კარგათ უნდა ესმოდეს დღეს იმათ, ვინც თავისუფალ საქართველოში ქართულ ცხოვრებით აპირებენ ცხოვრებას. ახლო მომავალში საქართველოში სპეციალი ცოდნის გამვრცელებელი სასწავლებლები უნდა დაარსდეს. გიმნაზიების რიცხვი არა თუ უნდა გამრავლდეს, არამედ უნდა შემცირდეს და სპეციალ სასწავლებლებათ გადაკეთდეს. ამას წინათ, სოფელში სწავლა აღზრდის შესახებ, ერთ გლეხს ველაპარაკეთ. მან შემდეგი გვიამბრა,: „ამ შვილებს კი ვზრდით, მარა არც ერთი მათგანი სოფელს არ მოშველებია, აგრონომები უცხო ადგილებიდან მოგვყავს და იმდენ ფულს იღებენ, რა უჭირდა, რომ ჩვენს შვილებს ქონოდათ აგრონომის სწავლა. ყველა როგორც კი გაათავებ სასწავლებელს, კანცელარიისკენ გარბის· თითქოს იქ ჯდომა კაცს უხდებოდეს. ჩვენ არავინ გვკითხავს., ჩვენ გვინდა ისეთი სასწავლებლები, სადაც ქალები შეისწავლიან ძაფის გაკეთებას, აბრეშუმის და შალეულობის მოქსოვის: კაცები ვენახის საქმეს ისწავლიან დარიგება მოგვცენ ხვნა თესვის დროს, გაგვასაღებიონ ჭინახული და გზები გაგვაყვანიონ და მორწყვის საქმე მოგვიწყონ.“

გლეხის ნათქვამი ჭეშმარიტებაა, იგი საჭიროებს ისეთ სკოლას, რომელსაც მის ცხოვრებასთან აქვს პირდაპირი კავშირი.

უსამართლობა არარის, რომ ჩვენ ამ დროს იმასთანა სკოლები გაუხსნათ მშრომელ ხალხს, რომელიც მას ზიანის მეტს არაფერს არგუნებს?.

**დის**

## უკანასკნელი გაფრთხილება.

ჩვენი ახლო წარსული სამარცხვინო მონობაა. რევოლუციამ დაჩაგრულ ერთა თავისუფალი თვითგამორკვევა აღიარა, მაგრამ ეს თვითგამორკვევა, საკუთარ ეროვნულ ფუძის მოპოება თავისთავად არსად მომხდარა. პოლონეთი, ფინეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტოვეთი, ესტონეთი და ყუბანი დამოუკიდებლურ ცხოვრებას იმკვიდრებენ საკუთარ ენერგიის წყალობით თავის მედგარ გამოსვლებით რკინის ნებისყოფის გამომჟღავნებით. ცენტრალ მმართველობას, რომელიც უმეტეს წილად სოციალისტებისგან შესდგება, არცერთი ერისთვის არ მიუნიჭებია შინაური თავისუფლება. სამაგიეროთ ვიცით, თუ როგორ ემუქრებოდა სოც.-რევოლუციონერი კერენსკი მცირე ერებს, მაგრამ კერენსკებს არ შეეძლოთ ბუნებრივ მოვლენის დახშობა, ეროვნულ გრძნობის დამარხვა დაჩაგრული ყველა ერი, რომელიც თავის ეროვნულ სურვილის გასანაღდებლათ ძლიერათ ამოძრავდა, ამხანათ უკვე ეროვნულ თავისუფლებით სტკბება. რას წარმოადგენს დღეს საქართველო? რა შესძინა მას რევოლუციამ? როგორც ბევრჯერ გვითქვამს ქართველმა ხალხმა რევოლუციაში ეროვნული შემოქმედება ვერ დაიწყო. ამის გამო საქართველოსთვის, როგორც ერისთვის რევოლუციას ეროვნული ცხოვრება არ განუახლებია; საერთო განთავისუფლების და ნაციონალიზაციის დროს ჩვენ გულ-ხელდაკრეფილები ვართ და მოწიწებით შევყურებთ პეტრეს ქალაქს—ცენტრალ მმართველობას. ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა ისეთი თვალსაჩინო რამ, რასაც არსებული მდგომარეობა ძირითადათ შეეცვალოს საქართველოს დემოკრატია სდუმდა. ახლაც სხვისი მონები ვართ. აბა სად არის თავისუფლების საფუძველი? სად არის საქართველოს ეროვნულ ხალხოსნური მმართველობა? რევოლუციის პირველ მომენტში, როდესაც მეფის ნაცვალი ნიკოლოზი გადააყენეს, ამიერ-კავკასიის სამართავად შედგენილ იქმნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი. იგი შესდგა ეროვნულ წარმომადგენლობის პრინციპით და პირველ ხანებში დამოუკიდებელი უფლებები ჰქონდა. მაგრამ ამ კომიტეტს ამიერ-კავკასიის ცხოვრებისთვის არავითარი ნაყოფი არ მოუტანია, წევრები ერთმანეთისადმი კონტროლს ეწეოდენ. ცენტრალ გამგებლობამ ბდრევე დაიწყო ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის უფლებათა შეკვეცა. ჯერ იყო და კავკასიის საქმეთა განსაკუთრებული კომისარი ნაბოკოვი მიიწვიეს პეტრეს ქალაქში, რომელსაც მრჩევლათ დაუნიშნეს ცნობილი სომეხი ნაციონალისტი, ევანგულოვი. ახლა, როგორც დეპეშამ გადმოგვცა, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის უფლებანი კიდევ შეუკვეციათ და იგი უფლებრივათ მეფის ნაცვლის უფლებასთან გაუთანასწორებიათ. დაშლილ რუსეთის წინდაუხედავი მმართველები ცენტრალიზმს აპტკიცებენ!.. მაგრამ რას შვრება ამ დროს საქართველოს დემოკრატია, რომელიც ხალხს ბედნიერებას პირდება? სოციალ დემოკრატიული პარტია, დაარსებიდანვე ალმაცერად უყურებს ეროვნულ მოძრაობას. იგი ამ მხრივ ამ ჟამად გარდაქმნის, გაეროვნულების პროცესს განიცდის, მაგრამ ძველ შეხედულებისა და მიმართულებისაგან თავი ვერ დაუხწევია. დღესაც ეს პარტია წინააღუდგა უსაჭიროეს დაწესებულებას, საქართველოს ეროვნულ საბჭოს იურიდიულ უფლების მატარებელ ორგანოთ ქცევას და მას საინფორმაციო ბიურო უწოდა. რას მატებს, რას შველის უუფლებო ერს საინფორმაციო ბიურო? თითქმის არაფერს. შეიძლება ხვალ საშინელი ანარქია ჩვენშიც დატრიალდეს, მოწამენი ვართ ამიერ-კავკასიის მთიელთა შეტაკებისა. სიმშილი კარს გვადგია, დამშეულ ქვეყანაში ცენტრალი მმართველობა საზამთრო საცხოვრებლათ რამდენიმე ასი ათას კაცს გვიგზავნის და ამ დროს თუ ჩვენ ქართველი ხალხის სიკეთე და პატრონობა გვწადს არ უნდა გვქონდეს ერთი, მთელი ერის ნდობით და უფლებით აღჭურვილი ორგანო? ნუ თუ ეხლაც, ამ უკიდურეს საერო გაჭირვების დროს თხოვნები უნდა ვუგზავნოთ შველისთვის ცენტრალ მმართველობას, რომელიც თვითონ ვერ შველის თავისთავს და ანარქიის ცეცხლში გახვეულა?

ჩვენ რომ შეგნება გვქონოდა, მდგომარეობა დიდი ხნია გვიკარნახებდა ეროვნულ მოქმედების ხაზზე დადგომას, ეროვნულ თავდაცვის მოწყობას, ეროვნულ უფლებების მოპოებას.

დრო არის, უფრო ფხიზლათ, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა, მოვეკიდოთ ჩვენს მოვალეობას, უფრო მეტის დაკვირვებით, თავდადებით და მტკიცე ნებისყოფით შეუდგეთ ჩვენი ხალხის საარსებო ინტერესების სამსახურს.

ეროვნულ ყრილობის მოწვევა, იურიდიულ უფლებებით აღჭურვილ ეროვნულ ორგანოს დასაარსებლად,— ეს არის უმნიშვნელოვანესი მორიგი საქმე.

ი. დ—ძე.

# ქართული პრესა

გაზეთი „საქართველო“ თბილისში რუსულ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ სწერს:

როგორც გაზეთები იუწყებიან, სახალხო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია ახლო ხანში პროექტი წარუდგინოს დროებით მთავრობას, რომლის მიხედვით რუსული უნივერსიტეტი უნდა დაარსდეს საქართველოს დედა ქალაქში, თფილისის ქალაქის გამგეობამ სახალხო განათლების სამინისტროსაგან შეკითხვა მიიღო კიდეც: მუნციპალიტეტმა უნდა გამოარკვიოს რა თანხის გაღება შეუძლია ქალაქს უნივერსიტეტის შესანახავად, აქვს თუ არა შესაფერი ადგილი და შენობები და სხ.

მკითხველს ეცოდინება, რომ მომავალი წლის პირველ იანვრიდან თფილისში ქართული უნივერსიტეტიც უნდა გაიხსნას. ამ გვარად თბილელი მოქალაქეების დიდის ხნის ნატვრა უცნაურად სრულდება: ამ ცოტა ხნის წინად დაარსებულ უმაღლეს საქალებო კურსებსა და პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტს ორი უნივერსიტეტი ემატება. მომავალ წლიდან თფილისში შეიძლება ოთხი უმაღლესი სასწავლებელი იქმნეს.

ეს უხვი წყალობა, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ ომის დროს მთავრობა იძულებული გახდა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ევაკუაცია მოეხდინა მტრის მიერ დაჭერილი ტერიტორიიდან. თბილისზე ადრე სარატოვმა და პერმმა მიიღო უნივერსიტეტი. მაგრამ რადგან ვარშავასა, რიგასა და დორპატიდან საუნივერსიტეტო წიგნთ-საცავებისა, კლინიკებისა და ლაბორატორიების გადმოტანა შეუძლებელი იყო, უმაღლეს სასწავლებლის ევაკუაცია არსებითად მხოლოდ რუსი პროფესორების ევაკუაციაში გამოიხატა. ვარშავისა და დორპატის პროფესორები კი აგრე რიგათ სახარბიელოს არაფერს წარმოადგენდნენ, მიტომ რომ, როგორც ცნობილია, მათი სახელები უფრო რუსიფიკაციის ისტორიაში ბრწყინავენ, ვიდრე მეცნიერების სფეროში.

თავისთავად ცხადია, რომ თფილისის მომავალი რუსული უნივერსიტეტი ბევრით არ ემჯობინება სარატოვისა თუ პერმის უნივერსიტეტსა. ძნელი საფიქრებელია, რომ ცნობილი რუსის მეცნიერები თბილისში წამოვიდნენ, მაშინ როცა რუსების უნივერსიტეტი ორას კათედრაზე მეტი თავისუფალია. ჩვენც არც ხეირიან წიგნთსაცავსა ან ლაბორატორიას დაგვითმობენ: თვით შიგა რუსეთის პროვინციული უნივერსიტეტები ხშირად მოკლებულია ერთსაც და მეორესაც. მივიღებთ მხოლოდ რამდენიმე უნიჭო პრივატდოცენტს, რომელთა პერსპექტივები უნუგეშოა შიგა რუსეთში. უეჭველია, რომ ასეთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ იხეირებს საქართველოს დედა ქალაქში, რადგან მას არ ექნება ფართო საზოგადოების თანამგრძნობა.

სულ სხვა მდგომარეობაში იქნება ქართული უნივერსიტეტი. უმაღლესი ჰუმანისტური განათლების ტრადიციები, რომელიც აყვავების საუკუნოებმა გვიანდერძეს, ჯერ კიდევ არ მოსპობილა ქართველ საზოგადოებაში. საჭიროა ამ ტრადიცების გაცხოველება. მას შემდეგ რაც პირველდაწყებითი სკოლისა და საშუალო სასწავლებლის გაქართულება მოხდა, ქართული უნივერსიტეტის დაარსება ლოგიკური აუცილებლობაა, უამისოთ აზრი ეკარგება ნაციონალიზაციის იდეას. რა ჰქმნას ქართული გიმნაზიის ან რეალური სასწავლებლის აბიტურიენტმა თუ უმაღლესი სასწავლებლის კარები ფაქტიურად დახშული იქნება მისთვის? მას გაუძნელდება უმაღლესი განათლების მიღება უცხო ენაზე, მას შემდეგ რაც დედა ენაზე საშუალო განათლება მიიღო.

ამ გარემოებას აშკარიში უნდა გაუწიოს დროებითმა მთავრობამ და ქალაქის საბჭომაც, ისინი ვალდებული არიან ფინანსიური დახმარება აღმოუჩინონ ქართულ უნივერსიტეტს და არა მის მოქიშპე დაწესებულებას, რომელსაც მტკიცე ნიადაგი არ ექნება საქართველოს დედა ქალაქში.

# რუსული პრესა

გაზეთი „დენი“ ტერეშჩენკოს შესახებ სწერს:

„გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრსს ძალიან რთული დანიშნულება უდგა წინ მისგან მოელოდნენ ანგარიშს და პროგრამას მას უნდა აეხსნა უკვე განვლილი და დაეხატა პერსპექტივები მომავლისა. ტერეშჩენკოს 6 თვის გამგეობის დროს ძლიერ ბევრი კითხვები დაგროვდა და ამათ გაშუქება სჭირდებოდა.

არ არის გამორკვეული და ბუნდოვანია ის გზა საითაც მიჰყავს მინისტრს ქვეყანა, თითქმის სადავოცაა, არჩეული აქვს კი მინისტრს გზა რომლითაც უნდა იაროს ქვეყნის პოლიტიკამ? თუ მისი მთელი პოლიტიკა მიმდინარეობის სიძლიერით არის გამოწვეული, რომლებსაც რუსეთი უცნობ ნაპირებისკენ მიყავს.

მინისტრის დეკლარაციამ გაურკვეველი ეჭვები ოდნავათაც ვერ გაფანტა. ბევრს მთავარს საკითხებს არც კი შეეხო: ნახევარი წლის განმავლობაში მინისტრმა მოკავშირეთა კონფერენციაც ვერ მოაწყო, ამის მიზეზი კი მან არ გვითხრა. მან გვაგრძნობინა, რომ მოკავშირეებთან მოსალაპარაკებლად საჭიროა, რომ რუსეთმა სადმე მაინც გაიმარჯვოს, მაგრამ ეს აზრი მან სავსებით ვერ განავითარა გააშუქა. ტერეშჩენკოდან არავინ არ მოითხოვდა რომ ის დაფნის გვირგვინით მოსულიყო, მხოლოდ საჭირო იყო ახსნა თუ რაში გამოიხატა მისი ლონისძიება მას შემდეგ რაც მან მილიუკოვი შესცვალა.

მთელი მისი სიტყვის „კონსტრუქცია“ იმდენათ უმნიშვნელოთ გამოდგა, რომ იმ დადებითი მხარეებსაც, რომლიც დეკლარაციაში მოიპოვებოდენ, აქარწყლებდა. შედეგი ის იყო, რომ ვინც ცოტათი განსხვავდებიან პრინციპიალურ საკითხებში ტერეშჩენკოსაგან. ისინც კი კვერს უკრავდენ მინისტრის მარტო კერძო განცხადებებს და მოუწონეს პატრიოტიული კილო, მაგრამ შინაგანი პოლიტიკის საფუძვლებით მაინც ვერ დააყოფილდენ.“

***

გაზეთ „დენი“ 20 ოქტ. მოსალოდნელ ბოლშევიკების გამოსვლების გამო ძლიერ აღელვებულია. ის ეხება ამ გამოსვლებს და სხვა შორის სწერს:

„ბოლშევიკები უხმობენ ხალხს დემონსტრაციებისკენ კი არა, უბრალო გამოსვლებისკენ კი არა-არამედ შეიარაღებულთ აჯანყებისკენ იმ მიზნით რომ დროებითი მთავრობა ჩამოაგდონ. თვით „ბოლშევიკები“ ამტკიცებენ, რომ ისინი შეტევითი პოლიტიკას კი არ აწარმოებენ—არამედ თავდაცვისთვის ემზადებიან... „დემოკრატიის მტრებს ვერაფრით ვერ დაარწმუნებთ, მათ მხოლოთ მუშტი ესმით. აქედან პრაქტიკული და პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ ჩვენც მუშტი უნდა უჩვენოთ“, ამბობს „ბოლშევიკების“ ორგანო.

გაზეთი ითვალისწინებს რა მათ მოქმედებებს ამბობს: „ახლოა დღეები პროტოპოპოვის ბოლშევიზმისა. ისტორიულათ ბოლშევიზმმა მოჰქმა ცხოვრება. მან მთელი თავისი პროგრამა განახორციელა. პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურა—ეს ახალი „ეტაპი“ კი არ არი რუსეთის რევოლუციისა, ეს ის ხანა არი რომელსაც ეხლა განვიცდით. ეს ხან ლენინის დროშის ქვეშ ვითარდებოდა, მას ნახევრათ ლენინელები ახორციელებდენ. შინაგან პოლიტიკაში ქვეყანა განიცდიდა ყოველ მხრით ახალ წესწყობილებას და ისტორიამ მოისურვა ამ წესწყობილებისთვის ხელი შეეწყო.

გარედან არავინ არ შეეძლო მისა დამსხვრევა. ის ლოღიკურ დასკვნამდე მივიდა და ეხლა თითონ თავის თავს უარყოფს.

დიქტატურა ანარქიათ შეიცვალა.

პეტროგრადის საბჭომ, რომელიც პოლიტიკურ ფორმას წარმოადგენდა ამ დიქტატურისას, თავისი თავის თავისაცემათ აწეწა ბედი ამ წესწყობილებისა.

უფლებით აღჭურვილი რევოლუციის პირველ დღეებში, ის თან და თან კარგავს სიძლიერეს, და, ეხლა, როცა ცოცხალი სული მოაცილდა მას, მხოლოთ „ბოლშევიკების“ სამეფოს წარმოადგენს. პეტროგრადის საბჭო დაშორებულია ცენზიან რუსებს კი არა, თვით დემოკრატიასაც ლენინმა ბოლშევიკების აღმოფხვრა იმ მაღალ წერტილამდე მიიყვანა, როცა ცენტრალური კომიტეტი გალიცინის „კაბინეთს“ დაემსგავსა.

# რუსეთის რესპუბლიკის საბჭო.

## ოქტომბრის 23 სხდომა

ავქსენტევის თავმჯდომარეობით კრება იხსნება 12 ს. და 3 წ. თავმჯდომარე აცნობებს კრებას, რომ ომსკის სამხედრო ოლქის 1 ნაწილის გამომძიებელს მისთვის გამოუგზავნია დადგენილების ახალი პირი საბჭოს წევრის პრაპორშიკ ველეევის სასამართლოში მიცემისა და დატუსაღების შესახებ. დადგენილების ასლი პირადი შემადგენლობის კომისიას გადაეცა.

**საგარეო პოლიტიკა**

გრძელდება კამათი საგარეო პოლიტიკაზე.

**კარელინის სიტყა**

მემარცხენე ესერი კარელინი აღნიშნავს, რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ თუ ომი არ შევწყვიტეთ, მდგომარეობა უფრო გამწვავდებაო. ორატორის აზრით საჭიროა დღეს კოალიციის იდეა უარყოფილ იქმნეს, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ რევოლუციამ ომი შესწყვიტოს (ტაში მარცხნივ).

**იანუშკევიჩის სიტყვა**

ლიტველთა ეროვნულ ორგანიზაციების წარმომადგენელი იანუშკევიჩი ამბობს, თუ ომი არ შესწყდა, ისე შეუძლებელია ცხოვრებაში გატარდეს ლოზუნგი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვით. სკობელევის ნაკაზმა ეს საკითხი პირდაპირ დასვა, საწუხაროდ საგარეო მინისტრმა განაცხადა, რომ ნაკაზი რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. აქ წინააღმდეგობაა. მთავრობამ ლოზუნგი მიიღო და მის განხორციელებას კი არა ჰფიქრობს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ერები თავისი ნებით შეუდგნენ საკუთარი გზის მანახვას. ეს რუსეთისთვის პირდაპირ სასარგებლოა, რადგანაც ცენტრალიზაციის ძველი მეთოდით რუსეთის მართვა დღეს შეუძლებელია. რუსეთის ყოველ ერს ისევე ესმის თვითგამორკვევა, როგორც რუსის დემოკრატიას. ასეთივე თანხმობაა მოკავშირეთი დემოკრატიისა და ნაკაზს შორის. რაც შეეხება მილიუკოვის ეჭვებს, ვითომ ერები გერმანელთა ზედგავლენით მოქმედებდნენ, ეს მხოლოდ რევოლუციისათვის მავნე შულს სთესს. მართალია ლიტვის სეიმმა დაადგინა გერმანეთის კავშირში შევიდეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სეიმი არ გამოჰხატავს სავსებით ლიტვის სურვილს და ნამდვილად ლიტვის დემოკრატია თავის ბედს რევოლუციონურ რუსეთის ბედს უკავშირებს. (ტაში მარცხნივ).

**ვრუოსკის სიტყვა.**

სახელმწიფოებრივ მიმართულების სოციალისტ-რევოლუციონერი ვრუოსკი მემარჯვენეებს ჰკიცხავს დემოკრატიის წინააღმდეგ გამოსვლებისათვის და ამბობს, თუმცა დიდის ტანჯვით, მაგრამ დემოკრატია მაინც აწარმოებს შემოქმედებითს მუშაობას. ორატორს უკვირს, თუ დემოკრატია ახლობელ კრებაზე კეთილდღეობას ჰფიქრობს, რისთვისაც ჰზრუნავს შორეულ პანამის არხის ნეიტრალიზაციაზე (თანაგრძნობა მარცხნიდან და ცენტრში). ვრუოსკი დემოკრატიას აფრთხილებს მოკავშირეთა წინააღმდეგ ნუ გაილაშქრებთ. შემდეგ მას საჭიროდ მიაჩნია შავი ზღვის სრუტეების ნეიტრალიზაცია იმ პირობით კი, რომ სამხედრო გემებს აეკრძალოთ მათში გასვლა-გამოსვლა. ორატორს საჭიროდ მიაჩნია, პარიზის კონფერენციაზე მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოს წარმომადგენელი გაიგზავნოს.

**პეშეხონოვის სიტყვა**

შრომის სახალხო—სოციალისტურ პარტიის სახელით პეშეხონოვი ამბობს, რომ ნაკაზმა, როგორც ცხვრების მომავალში მოწყობის პროექტმა, კამათი არ უნდა გამოიწვიოს. ჯერ კიდევ საბჭოს დაარსებამდე ცენზიან და დემოკრატიულ ელემენტებს შორის პირობა დაიდო საგარეო პოლიტიკის შესახებ. დემოკრატიამ განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკა არ უნდა იყოს შეძენისაკენ მიმართული. ეს დებულება მთავრობის დეკლარაციებში უკვე იყო აღნიშნული. მაშასადამე, საერთო მიმართულება საგარეო პოლიტიკისა ყოფილა. ეხლა მოკავშირეთ წინადადება უნდა მიეცეთ შეიმუშავონ ზავის კონკრეტიული პირობები და თუ გერმანელები მიიღებენ მათ, შევუდგეთ საზავო მოლაპარაკებას. მოსალოდნელია ისიც, რომ რადგანაც რუსეთი ერთობ სუსტია, გერმანეთმა არ მიიღოს პირობები, მაშინ რუსეთმა უნდა მოიკრიბოს უკანასკნელი ძალა და შეებრძოლოს მტერს; იმედი მაქვს, რომ რუსეთს შესწევს ძალა, თავისი სახელი, ღირსება და ტერიტორიის ხელშეუხებლობა ღირსეულად დაიცავს. (ტაში მარჯვნივ და მარცხნივ)

# რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**მშობიარობის დაზღვევა.**

**პეტროგრადი.** ოქტ. 21. დრ. მთავრობამ დაამტკიცა მშობიარობის დაზღვევის რეფორმის პროექტი, რომელიც შესამჩნევად აფართოვებს მშობიარე მუშა ქალთა დამზღვევ სავადმყოფო კასების მოქმედებას.

**სრულიად ყაზახთა ყრილობა.**

**კიევი.** ოქტ. 22. სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა რესპუბლიკის საბჭოს წევრი აგეევი, რომელმაც თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: „ჩვენს პოლიტიკურს პროგრამას 2 საფუძველზე ვაშენებთ: პირველი—სალი, აგრესივობას მოკლებული ანარქიის გავლენის გარეშე მდგარი სახელმწიფოებრიობა და მეორე ყაზახთა ნამდვილი დემოკრატიზმი, როგორც ფრონტზე ისე შიგნით სახელმწიფოში. ყრილობას სალამი უძღვნა პროფესორ მასარიკს და ინგლისის კონსულს.

**ფართლეულობის გატაცება**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 21. პულკინის ახლო ბოროტ-გამზრახველებმა 300,000 მანეთის ფართლეულობა გაიტაცეს.

**ებრაელთა თვით დაცვა.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 21. რადგანაც ებრაეთა დასარბევათ აგიტაციას ეწევიან, პეტროგრადის მხედარ ებრაელებმა თვით დაცვის ორგანიზაცია შეადგინეს.

**დამნაშავეთა განთავისუფლება.**

**აბო.** ოქტომბრის 20. ვილიოს საზოგადოებიდან კარაქის დამტაცებელთა საქმის გამო განაჩენის გამოტანის წინ მეზღვაურთა ბრბო შევარდა სასამართლოს შენობაში, მოსამართლეებს რევოლვერებით დაემუქრნენ და დამნაშავენი გაანთავისუფლეს.

**სავაჭროების დარბევა.**

**კრემენჩუგი.** ოქტ. 22. შუა ქალაქში დაარბიეს ორი ბაყლის სავაჭრო, ღვინის საწყობი და რამდენიმე სახლი. წესიერების აღდგენის დროს 2 კაცი მოჰკლეს, რამდენიმე დასჭრეს. რამდენიმე მძარცველი თავის საწამლავით მოიწამლა, რომელიც სავაჭროების დარბევისას ჩაიგდეს ხელში.

**ვორონეჟის გლეხთა საბჭოს უარი.**

**ვორონეჟი.** ოქტ. 20. გლეხთა დეპუტატების საგუბერნიო საბჭომ დაადგინა საბჭოთა ყრილობაში მონაწილეობა არ მიიღოს და სასტიკად გაჰკიცხა პეტროგრადში განზრახული შეიარაღებული გამოსვლა, ვინაიდგან იგი დამფუძნებელ კრების უფლებათა უზურპაციისაკენ იყო მიმართული.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 23. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** სროლა, განსაკუთრებით კი დვინის მიმართულებით, სვენტენის ტბის დასავლეთ რაიონში, სადაც მტერი ალაგ-ალაგ ძლიერ საარტილერიო ცეცხლს ანთებდა.

**დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტი.** შავ ზღვის პირის მიმართულებით, კიალკიტ-სიფტლიკის რაიონში ჩვენებმა ოსმალებს პირველ წყების თხრილები დაატოვებინეს. ალაგ ალაგ მათ მესამე წყების თხრილებსაც მიაღწიეს, ხელთ ვიგდეთ მრავალი იარაღი და სამხედრო მასალა. კემხის მიმართულებით, ერძინჯანის სამხრეთ დასავლეთით, ოსმალთა პატარა ნაწილებმა იერიში სცადეს მაგრამ მოვიგერიეთ. პალმიურის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა ქურთების რაზმები გაფანტეს.

**ბალტიის ზღვა.** უცვლელადაა.

**სამხედრო საზოგადოებრივი ორგანიზაციები.**

**მთავარი ბანაკი.** ოქტომ. 22. სამხედრო-საზოგადოებრივ ორგანიზაციების შესამცირებლად შემდგარმა თათბირმა დაადგინა, რომ ორგანიზაციები მთავარმა ბანაკმა უნდა შეამციროს და არა საფრონტო ორგანოებმაო. თათბირმა სახელმწიფო ეკონომიისათვის საჭიროდ დაინახა სამხედრო-საზოგადოებრივ ორგანიზაციების შემცირება და სთხოვა ამ დაწესებულებათა წარმომადგენლებს ამისათვის შესაფერი მოხსენებები გააკეთონ გიორგობისთვის 1 მდე.

**იტალიის ფრონტის გარღვევა**

**ბანაკის ცნობა**

**რომი.** ოქტ. 23. ოფიციალი. ტელიამენტოს ხაზით, მდინარის ორსავე მხარეზე საარტილერიო ბრძოლაა. მარცხენა ფრონტზე მტრის გაძლიერებულ მოქმედებას ცეცხლით და კონტრ-იერიშებით უპასუხებდით. დაკკე ჯუმელლას ღელეში მტერმა ჩვენ მოწინავე ასპარეზებზე მოიტანა იერიში. ცხარე ბრძოლით მოვიგერიეთ. ჩვენ ტყვეები ვიგდეთ ხელში.

**მფრინავთა მოქმედება.** ტალიამენტოს მარცხენა მხარეზე ოქტ. 20-ს ღამით ჩვენმა მფრინავებმა რამდენიმე სამხედრო საწყობი დაანგრიეს. ოდორცოსა და კოდრინოსთან გუშინ ჩვენმა მფრინავებმა გერმანელების ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

**იარაღით დახმარება იტალიის**

**ნიუ-იორკი.** ოქტ. 20. შეერთებულ შტატების მთავრობა სცდილობს დახმარება გაუწიოს იტალიას ავსტრია უნგრეთის მოგერიებაში. ნებადართულია ყველა საჭირო მასალების გატანა იტალიაში. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს სურსათს.

# უკანასკნელი დეპეშები.

ამერიკამ რუსეთს **31,000,000** დოლარი ასესხა.

პოლონეთის მეფედ ავსტრიის იმპერატორ კარლოს აცხადებენ.

დროებითმა მთავრობამ ავადმყოფობის გამო სამსახურიდან დაითხოვა დროებითი მთავრობის წევრი და სამხედრო მინისტრი გენერალ-მაიორი ვერხოვსკი.

სამხედრო სამინისტროს დროებითი გამგეობა დაევალა სამხედრო მინისტრის ამხანაგს გენერალ მანიკოვსკის, მინისტრ თავმჯდომარის ხელმძღვანელობით.

გერმანელებს ჰელსინგფორსში ფლოტის გაგზავნა განუზრახავსთ, სადაც მიზნათ აქვთ არტილერიის ცეცხლის ალის შემდეგ დესანტის გადასხმა.

რიგაში საწყნარე ჩამოვარდა მთელი სავაჭროები ღია არის. პური 4 კაპ. ღირს გირვანქა. გერმანელებმა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების დელეგატებს უბრძანეს 24 საათში რიგა გაწმინდეთო. დელეგატებმა უარი სთქვეს. მათ ეუბნებიან თუ 24 საათში ქალაქში მშვიდობიანობა არ იქნა. მათ დახვრეტენო გერმანელებმა მსურველ რუსის ქვეშევრდომთ ნება დართეს რიგიდან გასვლის, მაგრამ მსურველები არ აღმოჩნდენ.

# არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელ აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომპანიის გაწევა პარტიისაგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამგრძნობს, შემოიტანოს პარტიის კასაში შეძლების და გვარად თავისი წვლილი.

შემოწირულება მიიღება ქ. ქუთაისში:

1) ბ-ნ ივანე პურადაშვილთან აზოვდონის კომერციულ ბანკში;

2) გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში, თბილისის ქ; ს. მიქელაძის სახლი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

# საგუბერნიო კონფერენცია

შაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, გაიხსნება ქ. ქუთაისში.

**კონფერენციის საგანი:** 1. დამფუძნებელი კრების არჩევნები.

2. პოლიტიკური მომენტი და ტაქტიკა.

3. საორგანიზაციო საკითხები.

**დელეგატების წარმოგზავნის წესი:** ქუთაისის გუბერნიის ქალაქები ჰგზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს, დანარჩენი პარტიული ორგანიზაციები თითო-თითოს. ქალაქები ბათომი, ქობულეთი, სოხუმი, იხემჩირე მონაწილეობენ წერილობით წარდგენილ წინადადების თანახმად.

კონფერენციის მომწყობი: **ქუთაისის კომიტეტი.**

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედიც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისთვის მეტად ძვირფასია.

**ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.**

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი

**კაკი წერეთელი.** სამშაბათს, 24 ოქტომბერს მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრმა კაკი წერეთელმა ს. დემოკრატთა კლუბში მოხსენება გააკეთა თანამედროვე რევოლუციის შესახებ. ყოველგვარ შეკითხვებზე იგი დაწვრილებით უპასუხებდა.

◆ **300,000 მანეთის სესხათ აღება.** როგორც ვიცით ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ აუცილებელ საჭიროებათა დასაფარავად აიღოს მოკლე ან გრძელ ვადით 300,000 მანეთიანი სესხი. სესხის აღების მოსაწყობათ ქ. თბილისს წასულია ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. კალანდარიშვილი. ფიქრობენ სესხი თბილისის სათავადაზნაურო ბანკიდან აიღონ და ქუთაისში არსებული ქალაქის მამულები დააგირაონ.

◆ **გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტში.** დღეს, 26 ოქტომბერს, შესდგება ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის კრება. ამ კრებაზე თავის დასკვნას წაიკითხავს განსაკუთრებული კომისია, თუ ბაღდათის რკინის გზა რომელი ვარიანტით უნდა იქმნეს გაყვანილი. კრებაზე აგრეთვე არჩეული იქმნება სასკოლო სარაიონო 4 ინსპექტორიც.

◆ **წისქვილები** ამ ჟამათ ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს პურის ფქვილის მაგივრათ, მოსდის ხორბალი. ამისთვის საგუბერნიო სასურსათო სამმართველომ ქალაქის სასურსათო კომიტეტს სთხოვა, რომ პურის ხორბლის დაფქვის საქმე მოეწყო. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა კი დაადგინა მოაწყოს მანქანებიანი წისქვილები და დაფქვას ის ხორბალი რაც ქუთაისში მოიპოვება.

◆ **მცხოვრებლების წყლით უზრუნველყოფა.** ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ქალაქის მცხოვრებლების წყლით უზრუნველყოფის მოწყობას. შეიძინეს რამდენიმე ბოჩკა.

◆ **მასწავლებლების დამტკიცება.** ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებათ: წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის: კ. ჰენტუნაია, ო. გ. მგელაძე, ო. დ. ნასარიძე, ე. ა. წულუკიძე, ა. ლ. ცერცვაძე და ს. მ. აბესაძე. ქალთა მთავრობის სასწავლებლის: თამარ ქავთარაძე, ოლია ინასარიძე, ევლოკია თვალაძე, ბარბალე მჭედლიძე, მარგარიტა გიგინეიშვილი, ეკატერინა ოკუჯავა და ნიკიფორე ქუთათელაძე. რეალური სასწავლებლის: ელენა მიქელაძე ი. ჩესტნოვი ი. გვარამიშვილი, მ. კანდელაკი და მ. ჩეჩელაშვილი. კლასიკურ გიმნაზიის: მღ. ნ. აბესაძე, ნ. მისაბიშვილი, ვ. კაპანაძე, ი. კუჭუხიძე, ი. დანელია, ვ. ჩხენკელი, ე. მიქელაძე, ი. აკოპოვი ნ. ნუცუბიძე და ეკატერინა ნიჟარაძე.

◆ **პური.** კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტი ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტსატყობინებს, რომ ამა წლის ოქტომბრისათვის ქუთაისის გუბერნიას ჩრდილოეთ კავკასიას დაეთმო 75 ვაგონი პურის ფქვილი, 50 ვაგონი პურის ხორბალი და 100 ვაგონი სიმინდი. საოლქო სასურსათო კომიტეტი სთხოვს საგუბერნიო კომიტეტს, აცნობოს თუ რამდენი პური იქნება საჭირო ქუთაისის გუბერნიისათვის ნოემბრის განმავლობაში.

◆ **სათესლე პურის ხორბალი.** ქუთაისის საცდელი მინდვრის გამგემ შეამოწმა სასურსათო კომიტეტის მიერ მიღებული სათესლე პურის ხორბალი და გამოარკვია, რომ გადაურჩევლათ სათესლეთ არ გამოდგება, რადგანაც შიგ ურევია სხვა და სხვა ხარისხის პური.

◆ **თეატრი.** დღეს ქალაქის თეატრში წარმოდგენილ იქნება „ივერიძის ოჯახი" დრამა 3 მოქმედებათ.

◆ **ფართლეულობის საწყობის რევიზიცია.** მუშათა და სალდათთა საბჭომ ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტიდან მოწერილობა მიიღო, რომ დაუყონებლივ მოახდინოს რევიზიცია გიმნაზიის ქუჩაზე ბუტულოვის მაღაზიისა, რომ სასურსათო კომიტეტს შეძლება მიეცეს ამ სავაჭროში მოაწყოს ფართლეულობის საწყობი.

◆ **სიმინდი.** კავკასიის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის ხეტყის დამზადებელი განყოფილება სთხოვს სასურსათო კომიტეტს დაუთმოს დ. ბაღდადში გასაზიდავათ მუშებისათვის 2,000 ფუთი სიმინდი.

◆ **ნიხრის შესახებ.** კაგერის საუბნო სასურსათო კომიტეტი სთხოვს ქუთ. სას. კომიტეტს გაუგზავნოს მათ ნიხრი სხვადასხვა სანოვაგეზე რომ ამ ნიხრის ხელმძღვანელობით სანოვაგეზე ნიხრი დააწესოს.

◆ **ნიხრი.** აბაშის სასურსათო კომიტეტმა ქუთ. საგ. სასურსათო კომიტეტს დასამტკიცებლათ გამოუგზავნა ახლად დაწესებული ნიხრი. როგორც ნიხრიდან სჩანს იქ უფრო სიაფე ყოფილა ვინემ ქუთაისში.

◆ **რედაქციამ მიიღო.** თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველობისა „არა ორგანიული ბუნება" ჰაერი, წყალი და დედამიწა. შედგენილი მ. ზაალიშვილისაგან. წიგნი სუფთათ არის გამოცემული და ღირს 2 მანეთათ.

◆ **გარეშე ცნობა ბავშვის დაკარგვა.** 25 ოქტომბერს 1 საათზე გვიჩიას და ჰავჭიანიძის სავაჭროდან გამოვიდა წლინახევრის ბავშვი დათუნა და შემდეგ აღარ დაბრუნებულა მას ტანთ აცვია მოწითალო ხალათი, თავშიშველა და ფეხზე წითელი წინდები აცვია. მნახველს სთხოვენ ბავშვი მოიყვანონ გვიჩიას და ჰავჭიანიძის სავაჭროში რისთვისაც მიეცემა შესაფერი ჯილდო.

# 27 ოქტომბერი 1917 წ.

## ქალაქის თეატრი.

## ილიას ხსოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბელოსტინის ლექცია.

სამშაბათს, ოქტომბრის 24-ს მე 110 ქვეითა სათადარიგო პოლკში ოფიცერმა ბელოსტინმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემეზე: „ომი და სოციალისტები". ომის აღმოცენება ოთხ კატეგორიათ დაჰყო. 1. რელიგიური, 2 პოლიტიკური. 3. ეკონომიური 4. თავდაცვითი.

ავტორმა 1912 წლის ბალკანეთის ომს უწოდა პოლიტიკური გამანთავისუფლებელი. ახლანდელ ომს კი ეკონომიური, რომელიც წარმოშობილია ეკონომიურ ქიშპობის ნიადაგზე.

ლექტორი შეეხო გერმანეთის სოციალ დემოკრატიის დამოკიდებულებას ომთან და აღნიშნა, რომ გერმანეთის სოციალ დემოკრატია, რომელიც ყველა ქვეყნის სოციალ დემოკრატზე უფრო დაწინაურებულია და დიდი გავლენა აქვს სახელმწიფოში, უკანასკნელ რეიხსტაგის არჩევნების დროს მას 8 მილიონი ხმა მოუვიდა, ამ ომს პირდაპირ იმპერიალიზმით აღგზნებული შეხედა. გერმანეთის სოციალ დემოკრატია გვერდში ამოუდგა თვითმპყრობელ, ვილჰელმს, მოასპობინა მას ბელგეთი და ბალკანეთის სახელმწიფონი. გერმანეთის სოციალ დემოკრატიას შეეძლო 1914 წ. ომის შეჩერება, რადგან მთელი ქარხნები და რკინის გზები სოციალ დემოკრატიის ხელში იყო მაგრამ ეს მან არ ჰქნა და იმპერიალისტურ ომში აქტიური, მონაწილეობა მიიღო. გერმანეთის სოც. დემ. გვეუბნებოდა, რომ ჩვენ ვებრძვით რუსეთის თვითმპყრობელობას და არა რუსეთის დემოკრატიასო. მაშინ ეს რუსეთის სოც. დ-ებს ახარებდა კიდეც, მაგრამ დღეს, ხომ ხედავთ ჩვენში თვით მპყრობელობა არ არის, მაგრამ ვილჰელმის ლაშქარი სოციალ დემოკრატებით ზურგ გამაგრებული სასტიკათ გვებრძვის. რევოლუციამდე რუსეთის სოციალ დემოკრატია ციხეებში ლპებოდა, რევოლუციის წყალობით კი განთავისუფლებულმა ხელი გაუწოდა გერმანეთის სოც. დ-ს და მოუწოდა მას უანექსიო და უკონტრიბუციო დემოკრატიული ზავის ჩამოგდება, მაგრამ გერმანეთის სოც. დ-მ უარყო ჩვენი წინადადება და დღეს კვლავ გვეომება. ჩვენ ბევრი შეცდომები ჩავიდინეთ. ჩვენ ჯარმა გაიგო, რომ ომი უსამართლოებაა, მას არავითარი კარგი შედეგი არ ახლავს ამის გამო ტყვიამალა და ანარქიულათ განეწყო, ახლა ვნანობთ მაგრამ გვიან არის. სოციალ დემოკრატია არ უარყოფს თავდაცვითი ომს. დღეს ჩვენს ომს თავდაცვითი ხასიათი აქვს, ხალხმა უნდა დაიცვას თავის თავით არსებობა ამიტომ ყოველი მოქალაქე, ვინც რევოლუციის კეთილი მსახურია და სამშობლო უყვარს ვალდებულია ქვეყნის თავდასაცავად იბრძოლოს. ლექტორმა ილაპარაკა, აგრეთვე ზავის კითხვაზე აღნიშნა რუსეთი მოელოდა იაპონიისაგან იმ შემთხვევაში, თუ იგი სეპერატიულ ზავს შეკრავდა გერმანეთთან.

ლექტორმა ასეთი დასკვნა გაუკეთა ლექციას. სოციალ დემოკრატია არ უარყოფს ომს, რომელსაც მის თავდაცვითი ხასიათი აქვს, ამიტომ დღეს, როდესაც რუსეთს უდიდესი განსაცდელი მოელის, სახელმწიფოს სხეული ირღვევა, საჭიროა ყველა დემოკრატი ქვეყნის თავდასაცავად აღიძრასო,

**დამსწრე.**

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**მიწის გადაცემის პროექტი.**

რესპუბლიკის საბჭოში დროებით მთავრობასთან „მენშევიკ" ინტერნაციონალისტებმა შეკითხვა შეიტანეს, სურს თუ არა დროებით მთავრობას, რომ რესპუბლიკის საბჭოში გაატაროს საკითხი მიწის გადაცემისა სამიწათმფლობელო კომიტეტებზე. ამის შესახებ სამიწათმოქმედო მინისტრ მასლოვისაგან ჩვენება მიიღეს — რომ ის პირადათ მიზან შეწონილათ სთვლის შეიტანოს პროექტი მიწის გადაცემისა სამიწათმოქმედო კომიტეტებზე — რესპუბლიკის საბჭოში, მაგრამ მხოლოთ იმის შემდეგ როცა ამ პროექტს განიხილავს და მოიწონებს დროებითი მთავრობა.

— „ცარევსკის" მაზრაში გლეხები უარს ამბობენ ქ. ასტრახანისთვის პურის გაყიდვაზე. ჯარისკაცები გაყიდულ პურს არ უშვებენ ასტრახანისკენ. მათ წინააღმდეგ გაგზავნილია ყაზახები ტყვიის მფრქვეველებით.

კურსკში მშიერი კალუყანელები თავდასხმას განაგრძობენ. წაწილი—საგ-

# ამხანაგნესი.

არის ხოლმე ისეთი წუთები,—თუნდაც იმგვარ პატარა მწერალის ცხოვრებაში, როგორიც გახლავთ ქვემორე ამისა ხელის მომწერელი,—რომ მწერალი იგი მზად არის გადასტეხოს თავისი ჟანგიანი კალამი, გაიქრას ტყე-ველად, თავი შეაფაროს რომელიმე ყრუ ადგილს, „სად წვიმათოვლი ყინულად ქმნილნი მზისგან აროდეს არა დნებიან" და მარტოდ-მარტომ დღენი თვისნი დანარჩენნი დალიოს ვაებასა და მწუხარებაში!..

— რათა?

— იმიტომ, რომ ხალხი თითქოს გაგიჟდა, გადაირია! კაცი კაცს აღარა ჰგავს, აზრი აზრს. დიადი ქადაგება ძმობა-ერთობის შესახებ ერთი ერთმანეთის გატყავებაზე შეიცვალა, სათნოება და სიყვარული რბევა-აწიოკებათა და ბოროტებად გადაიქცა!

მიდიხართ ქუჩაზე და თან აქეთ-იქით იყურებით,—თავში არავინ ჩაგკრათ, ან,—ისე, ხუმრობისათვის,—სავარჯიშოთ,—ხიშტი არ გიჩხვლიტონ გვერდებში ცოტა, სულ ცოტა სისხლის გამოსადენად.

რევოლუცია უსისხლოდ ვის უნახავსო?

დადიხართ სოფლად... ქადაგებთ ერთობაზე; გსურს: სული შენი ჩააგრიხო ხალხის სულს; გწადიათ: გრძნობა შენი გაზარდო, გააფართოვო მოძმისთვის თავდადებამდე; ნატრობ: ხალხის გამოფხიზლებას, ერთ ბგერად, თავისუფლების ერთ ძლევა-მოსილ სიმღერად გარდაქმნას. ეხვეწები, ევედრები, უმტკიცებ მაგალითებით ისტორიით, წარსულითა და აწმყოთი, სტირი ცრემლითა მამულიშვილისათა, ჰკოდებ იერემიასავით. ხალხიც თითქოს გულისხმაში ვარდება: საცაა... დაგიჯერებს, საცაა დაამსხვრევს ხუნდებს **სულის მონობისას,** საცაა გაიხსენებს ძალას ერთობისას, ალღოს სიცოცხლისას, მაგრამ...

გერ გამოხოხოიკდა ვიღაც; თვალებს აბრიალებს, ბოროტად იღრიჯება, დაცინვით იღიმება, მედიდურად იჯგიმება, იობის მატლივით გამოგეჭიმება წინ და უტიფრად გიყვირის — ძირს „ნაციონალისტები" ძირს „ბურჟუები", თქვენ ქადაგობთ გათიშვას **რუსეთისაგან,** უმათოდ კი ჩვენ ღმერთმა ერთი დღე ნუ გვაცოცხლოს. ჩვენ გვინდა „ცოციალიზმი", ჩვენ გვინდა **იმათთან** ვიყოთ, ჩვენ **იმათ** მოგვცეს სიცოცხლე და იმათვე უნდა შეიწიროს!.. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს!.. ხალხნო, ყური არ უგდოთ, თორემ ხომ იცით მე კომისარი ვარ, ახალი მთავრობა ვარ...

— ძირს! ძირს!—არ გვინდა არა თქვენი ქადაგება. ჩვენ ამათი უფრო გვჯერა... **ნახარჯი** ხალხი ვართ, პირველად ესენი მოვიდნენ აქ... ამათია სიტყვაცა და ბრძანებაც... გაუმარჯოს ცოციალს". ყვირის, ბობოქრობს ხალხიც, და შენი სიტყვა, შენი გულწრფელობა, შენი ცოდნა, შენი გამოცდილება, შენი თავდადება, შენი სიყვარული ხალხისადმი ისე დნება ბრბოის ყიჟინში, როგორც ფოლადი გახურებულ ქურაში...

და ბრუნდები უკან გაწბილებული, შეჩვენებული, გულ მოკლული!

და გეტირება უილაჯოს!

და სწუხარ სამშობლო ერის უჯიცობისა და დაბრმავებისა გამო! და მწარედ, მწარედ ეკითხები შენს თავს:

— ნუ თუ მართლა მტერი ვარ ჩემის ქვეყნისა, ნუ თუ მართლა ისე დამიბრმავდა გონება, რომ ავსა და კარგს ველარ ვარჩევ?..

და გულის სიღრმიდან წამოჭრილი კვნესა საყვედურად გაკვდება ტუჩებზე.

— არა! ჩემო საყვარელო სამშობლო მხარევ! არა! ჩემო მშობელო ტანჯულო ხალხო! მე თქვენი მტერი არა ვარ! მე ვხედავ, მე ვგრძნობ, მე ვიცი, რომ თქვენ გაგაბრიყვათ ასი წლის მონობამ, თქვენ გამოგათაყვანათ ასი წლობით მთრახთა შტიალმა, თქვენ გაგოგნათ ასი წლის უპატრონობამ, თქვენ გული გაგიტეხათ ასი წლის უმწეობამ, თქვენ დაგაშინათ ასი წლის რბევა-აწიოკებამ, თქვენ რწმენა დაგიკარგათ ასი წლობით თვალთმაქცობამ უკეთურთა, თქვენ დაგაბრმავათ უანბანობამ, თქვენ დაგაყრუვათ თოფ-ზარბაზნთ გრიალმა, თქვენ გაგაძვალტყავათ ასი წლობით ძარცვა გლეჯამ ჩინიანთა თუ უჩინოთა!.. მაშ ძირს მე კი არა, ძირს ისინი, ვინც თქვენ ამ დღეში ჩაგაგდოთ. ძირს უმეცრება, ძირს უვიცობა, ძირს მოტყუება ძირს ძალმომრეობა, ძირს მონობა გონებრივი, თუ ქონებრივი, ძირს მყვლეფელნი და სისხლის მსმელნი. ძირს პამპულები, ძირს, ვინც თქვენის გაოგნებით თავის კერძო პირადსა თუ პარტიულ საქმეს აწყობს, ძირს სილაჩრე სულისა და ბოროტება გულისა! გაუმარჯოს გამოფხიზლებას, გაუმარჯოს ერთობას, გაუმარჯოს „სოციალიზმს" გრძნობისას, ვაჟკაცობისას, კაცად-კაცადობისას, აზრისას და ფიქრისას, გაუმარჯოს მოძმისთვის თავ დადებას, ერთობლივ მოქმედებას, გაუმარჯოს **საქმეს** ხალხის ასაღორძინებლად და არა მარტო **ლამაზს სიტყვებს,** ხალხის გულის მოსაგებად. ცოტა მოვხოხნოთ, ცოტა მოვთოხნოთ, ერთი ეთმანეთს დავეხმაროთ, ავაშენოთ სახლი თავის დასაცავათ, ვამცნოთ ქვეყანას, რომ აღარა ვართ ბოგანონი, უპატრონონი, მონანი, მშიშარანი და, როცა ქვეყანა ამას დაინახავს, ანგარიშსაც გაგვიწევს და თავის თავის პატრონნი ხმა მაღალ მაყრად გადვიქცევით მსოფლიოს სალხინო მეჯლისზე!..

ოცნებობ შენთვის, ბუტბუტებ ამას ჯერ გაუბედავად, მერე ჰყვირი, შფოთავ, მაგრამ... შენს გულის ტკივილს კვლავ აძლიერებს ბრბოს ყიჟინა, მიწევ-მოწევა, ძარცვა-გლეჯა, ერთმანეთის დაჩაგვრა, ერთმანეთის მოტყუება, სურვილი უცბად გამდიდრებისა, სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერების აგებისა...

ბაზარში ხართ... გინდა იყიდოთ რამე, დააპუროთ ცოლშვილი.

— ამხანაგო? ძმობილო, როგორ ქათამი, ეკითხებით გლეხს.

— ოცდა ოთხი მანათი!

— ღმერთი არა გაქვს. ეგ ქათამიც კი წყალს რომ სვამს, ღმერთს შეხედავს ხოლმე!

— დამეკარგე აქედან. მე ღმერთის არა ვიცი რა.

— დედი, დედი! რა მოგცე მაგ ჩიაბატში?

— ექვსი თუმანი!...

— კალათა ვაშლში?

— ხუთი მანათი.

— აი ხუთი სახარება გაგიწყრეს შენ!

— შენს ცოლშვილს, ბურჯუა!

— ბია რაღა ღირს!

— თითო ათი შაური.

— პური?

— გირვანქა ორი აბაზი!

— აკი გირვანქა ხუთი შაურია?

— მე ტაქციებისა არა ვიცი რა!

— შეგირცხვათ ადამიანობა, ვაჟკაცობა, რამ დაგაგიჟათ?

— შერცხვენილი შენა ხარ! როგორ ბედავ მშრომელი ხალხის ლანძღვას—გეზელ ქორივით გიყვირის ვიღაც!

უყურებ და გიკვირს.

უვიცი გიკითხავს ლექციას პოლიტიკური ეკონომიიდან.

უმეცარი ჭკუას გარიგებს, ჩარჩი სინიდისს გიწუნებს, მევახშე სამართლიანობაზე გექადაგება, ბრძოლის ველიდან გამოქცეული თვალებს გიბრიალებს, ყველა ერთად კი მზად არის გაგლიჯოს წიწილასავით, გაგფცქვნოს კარტოფილისავით და გადაგყლაპოს მარწყვივით... სოციალიზმის სახელით! შეშინებული, გაბრუებული ბრუნდები შენს მშიერს ოჯახში, გაბოროტებული ეგდები ტახტზე და ჰფიქრობ, ჰფიქრობ დაუსრულებლივ:

— სად სად გაჰქრა მთელი წლობითი ქადაგება სოციალიზმზე, ერთობაზე, ძმობაზე, ერთმანეთის გატანაზე? ნუ თუ ყველაფერი ერთმანეთის დასაბრიყვებლათაა მოგონილი, ნუ თუ რევოლუცია მხოლოდ და მარტო კაცი-ჭამიობაა? რა მოგველის ხვალ, ზეგ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ბოლო მოეღოს ასეთ ყოფნას?..

როგორ?

— თქვენ, თქვენ მიპასუხეთ ამ მწარე საკითხზე ჩემო ულმობელო მკითხველებო.

**ია ეკალაძე.**

[illegible] 2.III.60 წ.

უზერნიო სასურსათო კომიტეტის შენობას გარშემოერტყა და შენობას დამსხვრევას უპირებენ, თუ მათ პურს არ მისცემენ.

**ლენინის კანდიდატურა.**

სოციალდემოკრატ-ბოლშევიკებმა" განცხადება შეიტანეს დამფუძნებელი კრების სამრჩევნო კომისიაში რომ ვ. ულიანოვი (ლენინი) ხსნის თავის კანდიდატურას დამფუძნებელ კრების არჩევნებში ქ. მოსკოვში.

— იუსტიციის მინისტრი ა. დ. პროტოპოპოვის ცოლს შეპირდა, რომ ხომ ებს მიიღებს ქმრის სიცოცხლის უზრუნველ ყოფისთვის, რომელსაც საავადმყოფოში დასჯით ემუქრებოდა.

**ტერეშჩენკოს განცხადება.**

წინასწარ პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკომ განაცხადა, რომ პარიზის კონფერენციაზე დრ. მმართველობა იმ შემთხვევაშიც კი გაჰგზავნის თავის დელეგაციას, თუ რევოლუციურ დემოკრატიამ წარმომადგენლის გაგზავნაზე უარი განაცხადესო.

**დესანტი ფინეთში.**

პეტრეს ქალაქში დაჟინებით ლაპარაკობენ, გერმანეთმა ფინეთში დესანტი ვადმოსხაო.

**გაზეთის დაკეტვა.**

დრ. მმართველობამ დაკეტა ბურცევის გაზ. „საერთო საქმე" იმ წერილის გამო, სადაც ნათქვამი იყო თითქოს სამხედრო მინისტრმა ვერხოვსკიმ გერმანეთს წინადადება მისცა, სეპარატიული ზავი ჩამოვაგდოთო.

**ვ ე რ ხ ო ვ ს კ ი.**

სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი დასასვენებლათ წავიდა, მის შესახებ ბევრნაირი ხმებია გავრცელებული.

**ი ნ ც ი დ ე ნ ტ ი.**

სახელმწიფო თავდაცვის კომისიაში ინციდენტი მოხდა. შრომის და მიწად მოქმედების მინისტრები მოითხოვდენ რომ თავდაცვის საქმის მოსაწყობათ საჭიროა კიდევ დიდძალი ჯარის განთავისუფლებაო. ვერხოვსკიმ ცხარეთ უპასუხა, მან სთქვა. „რას ჰქვია ჯარის განთავისუფლება, აქ საკითხავია, რუსეთს შეუძლია ომის წარმოება"? მოკლე ხანში განსახილველათ დაისმება ომის კითხვა.

**თ-დი თუმანოვი.**

სამხედრო მინისტრის ვერხოვსკის ადგილზე სხვათა შორის ასახელებენ თ დ თუმანოვს.

**გაზ. „რუსკ. ვოლია"-ს ახალი ხელმძღვანელები.**

გაზ. „რუსკ. ვოლია" გადავიდა ახალ ხელმძღვანელთა ხელში. ესენი არიან: სავინკოვი, სოლოგუბი, მერეჟკოვსკი და მოპიუსი.

**სპეციალისტი ჯარის კაცები.**

იმ სპეციალისტ ჯარისკაცებს, რომლებიც ჯარიდან იყვენ განთავისუფლებული სამხედრო მინისტრმა ჯარში დაბრუნების ვადა: გადაუდო.

**მატარებლების შემცირება.**

ნოემბრის 10 დან რკინის გზებზე გარდა საფოსტო მატარებლისა ყველა მატარებელი მოხსნილი იქმნება. სამგზავრო მატარებელში მუდმივათ იქნება წესრიგის დამცველი ჯარისკაცები ცხენოსან ჯარიდან.

**მილიუკოვის მოკვლის განზრახვა**

სამხედრო სამინისტროს შეატყობინეს, რომ განზრახულია პ. მილიუკოვის მოკვლა, მილვუკოვს მოჰკლავს უცნობი სამხედრო ფორმაში გამოწყობილიო. სამხედრო სამინისტრომ მილიუკოვის ბინასთან ჯარი და მილიციელები გაგზავნა. მილიუკოვი გადარჩა.

**ტაშკენტის ამბები.**

დრ. მმართველობას ცნობა მოუვიდა, რომ ტაშკენტის გარნიზონი აღელვებულია და მოითხოვს ამას წინათ დაპატიმრებულ მეამბოხე პითთა განთავისუფლებას.

**ამერიკელებს იმედი აქვთ.**

პეტრეს ქალაქში მოხდა ინჟინერთა და ტეხნიკოსთა თათბირი. მათ რუსეთის რკინის გზების რღვევის შესახებ ასეთი აზრი გამოსთქვეს: „რუსეთის რკინისგზებს იხსნის მხოლოთ ამერიკიდან მემალაროეთა ბატალიონების მოყვანა, რომლის ერთი ნაწილი დონეცის ბასეინში უნდა გაიგზავნოს, ხოლო მერე ნაწილი რკინის გზებზე. ეს საღი მუშა ელემენტი ასწავლის რუსებს, რომ მუშაობა აუცილებელია.

**ბოლშევიკები არ გამოსულან.**

24 ოქტომბერს პეტრეს ქალაქში წყნარათ ჩაიარა, ბოლშევიკებს გამოსვლა არ მოუწყვიათ.

**დასავლეთის ფრონტზე.**

მოსკოვის გაზეთებს ატყობინებენ, რომ დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე ელვის სისწრაფით ვითარდება ბოლშევიკების აგიტაცია. ჯარის კაცები გაბოლშევიკდენ, რაც პეტრეს ქალაქის საფრთხეს აორკეცებსო.

**დემონსტრაციები მოსკოვში.**

15 ოქტომბერს მოსკოვის წითელ მოედანზე ხალხმა იწყო თავის მოყრა. როდესაც ხალხი ბლომად მოგროვდა, დაიწყეს დროშების ფრიალი შემდეგის ზედწარწერით: „ძირს ომი", „გაუმარჯოს ზავსა და ხალხთა შორის ძმობას", „გაუმარჯოს სეპარატიულ ზავს" და სხვა. წითელი მოედნიდან ხალხი ცნობილ დენერალ სკობელევის ძეგლისაკენ გაეშურა. პროცესიას ხელ-ახალი დროშები შეუერთდა ასეთის წარწერებით: „ომი ომს", „უფლება 18 წლიანებს დამფუძნებელი კრებისათვის". ამ დროს ხალხიც გაჰყვიროდა „ძირს კერენსკი"-ო. მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული მილიტარიზმის წინაალმდეგ. შემდეგ ბრბო დაიშალა ნაწილ-ნაწილად და ქალაქის განაპირა უბნებში იწყო მიტინგების მართვა. დემონსტრაციები მშვიდობიანი ხასიათისა იყო.

**27 მილიონ მანეთის ღირებულების მოპარვა.**

ზინგერის სავაჭრო ფირმამ განაცხადა, რომ მას ამ მოკლე ხანში პროვინციის სხვა და სხვა ადგილებიდან 27.000.000 მანეთად ღირებული საქონელი მოჰპარეს, განსაკუთრებით საკერავი მაშინები. მოსკოვის მილიციამ უკვე აღმოაჩინა ნაწილი გაქურდული საქონლისა, რომელიც გასასყიდად მოსკოვში ჩაუტანიათ.

**დასავლეთის ფრონტის კომიტეტები.**

დასავლეთის ფრონტზე 7289 ჯარის კაცთა კომიტეტი არსებობს, მათ შორის მცირე კომიტეტთა რიცხვი არის 6665, ხოლო დიდი კომიტეტებისა 624. კომიტეტის წევრების ჯამაგირის მიუღებლად ყოველ-თვიური გასავალი ამ კომიტეტებისა არის 250000 მან. კომიტეტში მუშაობს: ოფიცერი—4825, მოხელენი (ჩინოვნიკები)—1598, ხოლო ჯარის კაცები—44467.

## სომხების თავდაცვა

„დაშნაკ ცუტუნ"-ის პარტიამ სომხების თავდაცვისათვის მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ, თუ სომხეთში ანარქია კიდევ გაგრძელდა და ქურთებმა სომხებზე თავდასხმა არ შეწყვიტეს, ფრონტი შედრკება, შეუძლებელი გახდება დაცვა არამც თუ შემოერთებულ ოლქებისა, არამედ თვით ამიერ კავკასიისაც, რომლის დაკარგვა, ყოველ ეჭვს გარეშე, სახელმწიფოსთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება; ამიერ კავკასიაში ოსმალეთის ჯარის შემოსევით ყველა მცხოვრებნი და კერძოდ სომხობა წარმოუდგენელად დაზარალდება, ფრონტის განსამტკიცებლად რეზოლუცია მოითხოვს, ეცადნენ კავკასიის ფრონტზე ადგილობრივ მკვიდრთაგან შემდგარი სამხედრო ნაწილები გამოიყვანონ. უნდა ენერგიული ზომები იქმნას მიღებული ქურთების თარეშის საწინაალმდეგოდ, ვინაიდან იგი ფრონტს ხიფათს უმზადებს ამ საქმეში მთავრობას დახმარება უნდა გაუწიოს სახალხო თავდაცვამ. ამასთანავე უნდა შესდგეს სახალხო მილიცია ამავე მიზნით.

## სომხეთის ტერიტორია „დაშნაკცუტიუნ"-ის პროექტით

„დაშნაკცუტიუნ"-ის პროექტით სომეხთა უმრავლესობით დასახელებულ ადგილებისაგან უნდა შესდგეს ერთი მთლიანი საერობო გუბერნია, რონელშიაც შევა: 1) ერევნის გუბერნია, 2) განჯის გუბერნიის, სამხრეთ დასავლეთის ნაწილი, სახელდობრ: ყაზახისა და განჯის მაზრების ნაწილები, ჯევანშირისა და შუშის დასავლეთის ნაწილები, ჯებრალის მაზრის ჩრდილოეთის ნაწილი და ზანგეზურის მაზრა რამდენიმე თათრულ სასოფლო საზოგადოებათ გამოკლებით, რომლებიც ძველი გუბერნიის თათრულ ნაწილს შეუერთდეს, 3) თბილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრა, რომელსაც შეუერთდება ნალკის ის სოფლები, სადაც უმრავლესობას სომხობა შეადგენს და გორის მაზრის 2 სოფელი, კზილ-კილისა და მოლითი, 4 ბორჩალოს მაზრიდან—ლორისა და ალავერდის საპოლიციო ნაწილები ბორჩალოს ის ნაწილი, რომელიც სომეხთა უმრავლესობითაა დასახლებული 5) ყარსის ოლქის ყარსისა და აღზევნის მაზრები.

ოლთისისა და არდაგანის ოლქების, ახალციხის მაზრის და წალკის ბერძნული ნაწილის საკითხი მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გადასწყვიტონ.

## მაჰმადიანთა პოლკების შედგენა.

ამიერ კავკასიის საგუბერნიო კომიტეტის წევრმა მაჰმადიანთა წარმომადგენელმა ჯაფაროვმა სამხედრო მინისტრს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ძველი რეჟიმის დროს მაჰმადიანებს შეძლება არა გვქონდა არსებობისათვის საერთო ბრძოლაში ჩვენი წვლილი შეგვეტანა სამშობლოს სამსხვერპლოში. დღეს, როდესაც თავისუფალ რუსეთის შვილები გავხდით, ჩვენ, მაჰმადიანებს, გვსურს ვისარგებლოთ თავისუფალ ქვეყნის მოქალაქის უფლებით და ქვეითა ბრიგადისა, საარტილერიო დივიზიონის და ცხენოსანთა მეორე პოლკის შედგენით მონაწილეობა მივიღოთ სამშობლოს საერთო დაცვაში. ამისთვის მზად ვართ შეძლების და გვარად ნივთიერი წვლილიც გავიღოთ. გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პრინციპიალური თანხმობა. თქვენი უარი დიდ წყენას გამოიწვევდა მაჰმადიანთა შორის დააფიქრიანებს მათ რომ მაშინ, როდესაც ყველა ერი ადგენს თავის ჯარს, მას ისევე სთვლიან გერებად, როგორც ძველი რეჟიმის დროს".

ერთსა და იმავე დროს სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა სამხედრო კავშირის თავჯდომარის ამხანაგმა ალი ასადულაევმა ბაქოს მაჰმადიანებს დეპეშით აცნობა, რომ მასთან იყო დელეგაცია, რომელსაც უთხოვია შუამდგომლობა აღძრას მაჰმადიანთა სამხედრო ეროვნულ ერთეულების შექმნის შესახებ. ალი ასადულოვი შემდეგის მოსაზრებით უჭერს მხარს ამ შუამდგომლობას: 1) ამიერ კავკასიის 4 მილიონ მაჰმადიანთაგან, რომელნიც გასაწვევი არ არიან ჯარში მხოლოდ ერთი პოლკია შედგენილი მაშინ, როდესაც ამიერ კავკასიის მთიელთაგან 4 პოლკი შეადგინეს უკვე; 2) ჯარში გასაწვევს 1 მეოთხედი მილიონ ქართველთაგან, გარდა ევროპიულ ნაწილების შევსებისა, უკვე შემდგარია: 9 ბატალიონი, 4 ესკადრონი და 2 ზარბაზანი; 1 ნახევარი მილიონ სომხებისაგან—12 ბატალიონი; 8 ზარბაზანი, 160 ათასი ოსებისაგან 2 პოლკი და ბატარეია. ამიტომ სამართლიანად ვსთვლი, დაცული იყოს ერდგვარი პროპორციონალობა ერის რაოდენობისა და გაყვანილ მებრძოლთა შორის. 3) მაჰმადიანობა იმდენად თანაუგრძნობს ეროვნულ პოლკების შედგენას, რომ ადვილი შესაძლებელია ხაზინას ამისთვის ახალი ხარჯების გაწევა აღარც კი მოუხდეს, 4) მთიელთა დივიზიის კორპუსად გადაკეთებასთან ერთად ოსების ქვეითა ბრიგადა დაშალეს, ე. ი. კორპუსს არა აქვს ქვეითა ჯარის ნაწილი, რომელიც ეგრედ საჭიროა ცხენოსან ჯარის დასახმარეალად.

ალი ასადულოვს ზემოხსენებულ საგანზე აქ მოყვანილ მოსაზრებათა თანდართვით რაპორტი მიურთმევია კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლისათვის. ეს რაპორტი გაეგზავნა აგრეთვე სამხედრო მინისტრსა და მთავარ ბანაკს.

## ეროვნული კითხვა

**ბელორუსეთის ავტონომია**

**მინსკი.** ოქტომბრის 23 ბელორუსელ ჯარისკაცთა ყრილობა დასრულდა. მიღებულ რეზოლუციით მოითხოვენ ბელორუსეთის ლაშქრის დაარსება, რომელსაც მათ ცენტრალ რადაში წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს. სახელმწიფოს მოწყობის შესახებ მიღებულ რეზოლუციით ყრილობა ბელორუსეთის ავტონომიას და რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკას მოითხოვს.

**პოლონეთის მეფე**

**კოპენჰაგენი.** ოქტ. 22 ვენის გაზეთებმა ცნობა გაავრცელეს: პოლონეთის მეფედ მეფე კარლოსს გამოაცხადებენო. ამის შესახებ „ფოსიშეცაიტუნგ"-ი აცხადებს, რომ თუმც ეს ხმები არაა დადასტურებული, მაგრამ პოლიტიკურ ლტოლვილებას კი შეეფერებაო. გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთ ლტოლვილებას კი დიდი გამწვავება მოჰყვება, გაზეთის აზრით პოლონეთის საკითხი მხოლოდ ზავის შემდეგ გადასწყდება, როდესაც საკითხს დაინტერესებული სახელმწიფოები შეუდგებიან გადაწყვეტას.

**შეთანხმება.**

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 22. აქამდე ფინლიანდიის ბანკი რუსულ ქაღალდის ფულებს არ იღებდა- ამ ნიადაგზე რუსეთისა და ფინლიანდიის სენატის შორის აღმოცენებული უთანხმოება მოისპო. ფინლიანდიის დაწესებულებებში დღიდან დაუბრკოლებლივ მიიღებენ რუსულ ქაღალდის ფულებს.

## ყაზახთა და მთიელთა კავშირი.

კავკავში ოქტომბრის 21 დასრულდა ყაზახთა ჯარისა და კავკასიის მთიელთა წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციაზე ხელი მოაწერეს „სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს: ყაზახთა ჯარის, კავკასიის მთიელთა და ტრამალის თავისუფალ ერთა" ხელშეკრულებაზე, კავშირი მიზნად ისახავს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის დამყარებას, რომ კავშირის წევრთ ცალცალკე შტატების უფლები ჰქონდეთ. კავშირი მიილტვის მტკიცე მთავრობის შესამქნელად, ცენტრალ სახელმწიფო მთავრობის დასახმარებლად გარეშე მტერთან, ანარქიასთან და კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. კავშირის თვითეულ წევრს უფლება აქვს თავის შინაურ ცხოვრებაში სრული დამოუკიდებლობა გამოიჩინოს. უფლება აქვს თავისუფალ ხელშეკრულებაზე ვისთანაც კი მოისურვებს, ხოლო კავშირის მიზანს კი არ უნდა ეწინაალმდეგებოდეს მისი სხვასთან შეთანხმება.

კავშირს სათავეში უდგას შეერთებული მთავრობა, ამასთან კავშირის თვითეული წევრი მთავრობაში ორ-ორ წარმომადგენელს ჰგზავნის. შეერთებული მთავრობა ანხორციელებს კავშირის მიზნებს, კავშირი აქვს როგორც რუსეთის სახელმწიფოს მთავრობის ცენტრალ და ადგილობრივ ორგანოებთან, ისე რუსეთის ერთა და ოლქების მართველობის ორგანოებთან. სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირს რუსეთის ცენტრალ მთავრობაში თავისი წარმომადგენელი ჰყავს. შეერთებული მთავრობა ქალაქ ეკატერინოდარში იქნება. კავშირში შედიან დონის, ყუბანის, თერგის და ასტრახანის ყაზახთა ჯარი, კალმიკები, დაღესტანის და ზაქათალის ოლქის ყველა ერები, თერგისა და ყუბანიზ მხრის და სუხუმის ოლქის მთიელები და თერგის მხრის და სტავროპოლის გუბერნიის ტრამალის („სტეპ") ერები.

## ზოგიერთ მმართველებს და კერძოთ მოქ. კოლა მესხს.

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მომცეთ საშვალება აღვნიშნო ის, რაც ხდება ზოგიერთ სკოლებში გამგის მეოხებით. ბ. კოლა მესხის სასწავლებელში დაიცალა მასწავლებლობის ადგილი.

ვინაიდგან დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის დადგენილების მიხედვით. მასწავლებლები სკოლებში ადგილობრივ საბჭოს არჩევით უნდა ინიშნებოდეს და შემდეგ კი (წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლათ, მე როგორც დამცველი ამ გადაწყვეტილებისა მივმართე ხსენებულ სკოლის გამგეს ბ. კოლა მესხს რათა ადგილზე დავენიშნე, როგორც უადგილო ბ. გამგემ მიმითითა სამოსწავლო აღმასრულებელ კომიტეტზე მე ეს მეტად გამიკვირდა ისეთ ადამიანისაგან, რომელიც სრულიად არ ეთანხმება ასეთი სისტემით სკოლებში მასწავლებლების დანიშვნას (როგორც კრების თანდასწრებით ვიცი). მე იძულებული შევიქენი ამ სიტყვების შემდეგ ბოდიშის მოხდით დავშორებოდი ხსენებულ გამგეს. ვიარე აქეთ იქით არ ვიცოდი, თუ ვისთვის მიმერთა (მე როგორც ახალ კურს დასრულებული კარგათ არ ვიცნობ მასწავლებელთა შემადგენლობას). 18-ამ თვეს შეუედი პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში. იქ ვნახე პატივცემულნი პირნი ალ. ბერეკაშვილი ასული და ფაჩუაშვილი, მათ გადავეცი ყოველივე გამგის ნათქვამი. ისინი მეტად გააკვირვა ხსენებულ გამგს პასუხმა. პატივცემ-ულმა ფაჩუაშვილმა აღელვებით შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა „ოხ, ეხლა დრო მქონდეს რომ იმ სკოლის გამგე მენახა" ბ. ფაჩუაშვილმა მომცა დარიგება მიმემართა ისევ იმ სკოლის გამგისთვის. მეც დავბრუნდი ისევ გამგესთან, რომელსაც ყოველივე გადავეცი და თან დავსძინე, რომ დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის დადგენილებით არ აქვს უფლება სამოსწავლო კომიტეტს ზემოდან მასწავლებლის დანიშვნისა, მან შემდეგი მითხრა: „ჩვენ ისეთი ქალი უნდა დავნიშნოთ, რომელსაც აქვს დასრულებული წინანდელ სასწავლებელი, გიმნაზია ან და საეპარქიო სასწავლებელი" ამ სასწავლებლის ხსენებაზე მეც უიხარი. „დიაღ, მეც საეპარქიო სასწავლებელი მაქვს დასრულეცა რომ ორი წლის წინად სანიმუშო ბული"-თქო. ბ. გამგემ პასუხად მომგაკვეთილი ჩაატარა ერთმა ქალმა და დღესაც ის უნდა მოვიწვიოთო, მიუხედავათ იმისა, რომ იმ მანდილოსანს ადგილი უკვე აქვსო მის ნათქვამიდან ის დასკვნა გამომდინარეობდა, რომ ის პირნი, რომლებიც საშვალო სასწავლებელს ვასრულებთ და სრული უფლება გვეძლევა ამ თანამდებობას ხელი მოვკიდოთ მოვალენი ვართ ჩავაბაროთ სანიმუშო გაკვეთილები ნებით თუ უნებლიეთ მომავონდა მგელის და კრავის არაკი.

მე არავითარი საწინაამდეგო არ მაქვს ხსენებულ მასწავლებლის დანიშვნისა, მაგრამ ვეკითხები ბატონ გამგეს: როდესაც 13 ოქტონბერს შაბათს, მივმართე რისთვის იმ დღესვე არ მითხრა ასე გადაჭრით და რად მიმითითა სამოსწავლო კომიტეტზე შემდეგი სიტყვებით. „მე არ მეკითხება მიმართეთ სამოსწავლო კომიტეტს და ისინი დაგნიშნავენო" თუ კი ეს ასე იყო მიმიღებდა ხსენებულ სკოლაში. კომიტეტის დინიშვნით თუ მიმიღებდა რატომ პირველ ოქტომბრის თვეს კრებაზე არ იცავდა ასეთ სისტემით მასწავლებელის დანიშვნას და უკან არ გაყვა ერთ ფრაქციის მასწავლებელთა წარმომადგენლებს რომელმაც დარბაზი დასტოვეს? დარწმუნებული ვარ, რომ არავითარ ასეთ დანიშვნის სისტემას არ იცავს ბ. გამგე მაგრამ ბიძაშვილობას ვერ უღალატა. ვაი, ჩვენი ცოდვა, ვისაც ასეთი მახლობლები არ მოგვეპოება, ღვთის ანაბარა უნდა დავრჩეთ და შიმშილით სული ამოგვძვრეს.

დეე! შიმშილით დავიხოცოთ მაგრამ ასეთი მამიდაშვილობა უარვყოთ:

**აგრაფინა ჩხაიძის ასული.**

P. S. მე ამაზე ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ ამ მამიდაშვილობამ ისე მოიდგა ფესვი ყოველგან, რომ თუ ვინმე არ გამოეხმაურა ვინ იცის ეს როდემდის გასტანს! **ა. ჩ.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში მესხმა „606" და „914") დღით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში